მზარდი რეგიონალური რისკები მოითხოვს კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში უფრო ინტენსიური ეკონომიკური რეფორმების გატარებას

ავტორები: იუჰა კაკონენი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, და აზიმ სადიკოვი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო წლიური შეხვედრისას, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირები დადგნენ გლობალური ეკონომიკის მომავლის არასახარბიელო ახალი ამბების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური გაჯანსაღება გრძელდება, ეს პროცესი არათანაბრად ვითარდება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში; ხოლო განვითარებად ქვეყნებში ყალიბდება ეკონომიკური ზრდის უფრო დაბალი ზრდის ტემპი, ვიდრე იყო კრიზისამდე ბუმის პერიოდში, ან კრიზისის შემდგომი გაჯანსაღების დროს. კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის, გაზრდილი გეოპოლიტიკური დაძაბულობა და მასთან დაკავშირებული რუსეთის ეკონომიკის შენელება განსაკუთრებით ყურადსაღებია. ეკონომიკის ზრდის გაუარესებული პროგნოზებისა და ხანგრძლივი პრობლემების პირობებში უფრო სასწრაფოდ გატარდეს კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ, უმუშევრობის შემცირებისაკენ და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეფორმები..

2014 – 2015 წლებში ამ რეგიონში პროგნოზრებულია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის შემცირება 2013 წელს არსებული 7 პროცენტიდან 5½ პროცენტამდე. შემცირება შეიძლება უმნიშვნელოდ ჩანდეს, რადგან მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ზრდა გაცილებით მცირეა. მაგრამ ამ რეგიონის ქვეყნებისთვის ზრდის მაღალ ტემპებია დამახასიათებელი: 2007 – 2011 წლებში ეკონომიკური ზრდა 7½ პროცენტს შეადგენდა, მათ შორის გლობალური კრიზისის პერიოდშიც.

2013 წლის შენელებიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა მოსალოდნელია 5 პროცენტი იყოს 2014 და 2015 წლებში. რუსეთ-უკრაინის კრიზისს აქამდე შეზღუდული ეკონომიკური გავლენა ჰქონდა, საქართველოს რუსეთთან შეზღუდული (თუმცა მზარდი) სავაჭრო ურთიერთობების და სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან მზარდი ფულადი გზავნილების გამო. ინფლაციამ 2014 წლის ბოლოსათვის 4 პროცენტს უნდა მიაღწიოს, თუმცა ლარის ბოლო პერიოდის გამყარება გააგრძელებს ფასებზე შემცირების მიმართულებით ზემოქმედებას. კაპიტალის ბაზრების შემდგომი განვითარება, ახალი საპენსიო სისტემის შემოღება და განათლების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს

საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენოს ვაჭრობის და ინვესტიციების ის შესაძლებლობები, რომლებიც გაჩნდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, და გააძლიეროს ზრდა საშუალოვადიან პერიოდში. ნავთობპროდუქტების ფასების ბოლოდროინდელი შემცირება, შენარჩუნების შემთხვევაში ხელს შეუწყობს ეკონომიკის უფრო მაღალ ზრდას და შეამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს.

ნავთობის ფასების ბოლოდროინდელი კლება ეკონომიკური პერსპექტივის გაურკვევლობას ზრდის. ამ რეგიონის ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები მოწყვლადები არიან ნავთობის დაბალი ფასების ხანგრძლივად შენარჩუნების მიმართ. ამ ეკონომიკების ზრდა შესაძლოა კიდევ უფრო შეფერხდეს ნავთობის შემოსავლების შემცირებასთან ერთად და ასევე მოსალოდნელია მათი ფისკალური და საგარეო პროფიციტის გაუარესება თუ არ მოხერხდა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. მართალია კავკასიის და ცენტრალური აზიის ის ქვეყნები, რომლებიც ნავთობის იმპორტს ახორციელებენ, თვადპირველად ისარგებლებენ დაბალი ფასების გამო, თუმცა ამ ქვეყნებზე უარყოფით გავლენას იქონიებს რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობა, რადგან რუსეთი დიდად არის დამოკიდებული ნავთობზე.

ნავთობის ფასების დაცემის შოკი ვითარდება გლობალური რისკების ზრდის ფონზე. უკრაინის სიტუაციის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობის შემდგომმა გაღრმავებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამომავლო ეკონომიკურ პერსპექტივებზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონს მჭიდრო კავშირები გააჩნია რუსეთთან ვაჭრობის, ფულადი გზავნილებისა და ინვესტიციების სფეროებში. ჩვენი შეფასებებით მოცემული წლის განმავლობაში რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დროებითი დაცემა 1 პროცენტული პუნქტით, დააქვეითებს ამ წლის განმავლობაში კავკასიის და ცენტრალური აზიის ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ზრდას დაახლოებით 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების ზრდას - 0.7 პროცენტული პუნქტით. უფრო მეტიც, სხვა ეკონომიკური პარტნიორების შენელებული ზრდის გახანგრძლივება, - განსაკუთრებით ევროპის ან ჩინეთის, - ასევე გავლენას იქონიებს კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე საგარეო მოთხოვნისა და ინვესტიციების შესუსტების გამო.

რა უნდა გააკეთონ მოცემული რეგიონის მთავრობებმა და ცენტრალურმა ბანკებმა მზარდი რისკების საპასუხოდ? უპირველეს ყოვლისა მთავარია, რომ მათ ყურადღება გაამახვილონ ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, და, სადაც შესაძლებელია, უზრუნველყონ ეკონომიკის ზრდის მოკლევადიანი მხარდაჭერა. ამ მხრივ, მზარდი რისკების გათვალისწინებით, პაუზა

ფისკალური კონსოლიდაციაში გამართლებულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც აქვთ საკმარისი ბუფერი, როგორიცაა ყაზახეთი. საქართველოში 2014 წელს დროებითი ფისკალური შერბილების მერე, 2015 წელს გრძელდება ფისკალური კონსოლიდაცია ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პარარელურად, ბუფერების აღდგენისა და სახელმწიფო ვალის კლებადი ტრენდის შენარჩუნების მიზნით. ნავთობის და გაზის ექპორტიორი ქვეყნების უმეტესობაში, ყურადღება უნდა მიექცეს თაობათა შორის კაპიტალის გადანაწილებასა და ადექვატური მარაგების არსებობას, ფასების მერყეობისგან დაცვის მიზნით. იმ ქვეყნებში სადაც ინფლაცია იწყებს ზრდას მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება შეიძლება იყოს საჭირო.

თუმცა ეს დაუყოვნებელი ნაბიჯები ალბათ ვერ შეცვლის საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის შენელების ტენდენციას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პერიოდის კვლევამ ცხადყო, რომ პოტენციური ეკონომიკური ზრდის შესუსტება კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონში უფრო მკვეთრი იყო, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. აღნიშნული რეგიონის პროდუქტიულობა შესუსტდა და შენელდა რეფორმების გატარებაც, რაც ხელს უწყობს უმუშევრობის, ემიგრაციისა და უთანაბრობის დონის შენარჩუნებას.

მმართველობის, ზედამხედველობის ხარისხისა და კანონის უზენაესობის ძირეული რეფორმები აუცილებელია რათა შეიქმნას პროდუქტიულობის ზრდის, ინვესტირების, სამუშაო ადგილების გაჩენისა და განვითარების ხელშემწყობი გარემო. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბუნებრივ წიაღისეულზე დამყარებული ეკონომიკების დივერსიფიცირებას, კომპანიებისა და შინამეურნეობებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ბიზნესის კლიმატის განმტკიცებასა და დაბალანსებული რეგიონალურ და გლობალურ სავაჭრო ინტერგრაციას. თავისი მხრიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მუშაობს აღნიშნული რეგიონის ქვეყნებთან, რათა დაეხმაროს ამ სიძნელეებთან გამკლავებაში. ქვეყნების გარემოებების შესაბამისად, ასეთ დახმარებაში შეიძლება მოიაზრებოდეს პოლიტიკის შესახებ რჩევა, ტექნიკური დახმარება, და ფინანსური მხარდაჭერა.

ბოლო პერიოდის გლობალური გაურკვევლობები მხოლოდ ხაზს უსვამს ახალი ეკონომიკური მოდელის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ნაკლებად იქნება დამოკიდებული წიაღისეულზე, იქნება უფრო ინტეგრირებული და დივერსიფიცირებული. აღნიშნული დაეხმარება კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების სწრაფი ზრდის სტიმულირებას და საშუალებას მისცემს მათ სრულად ისარგებლონ თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობითა და დემოგრაფიით.